სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თვიდისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
სამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამს. (დუბელირის) სტამბაში, ხერგეევის ქუჩაზე, სატასოვის სასლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 11 შაბათი | V | 15 ივნისი, 1872 წ.

შინაარსი

ხიხლის ხამართლის მუხლების განხილვა. —ხამართალი—ოლქის სასამართლოები. — საქართველოს ამბები:—წიგნი «დროების» რედაქტორთან. «დროების» კორრესპონდენციები.—იმერეთიდამ.—მიცვალებულის დასაფლავება იმერეთში.—დ. ხონი. ქიზიყი.—სოფელი იყალთო.—

ხიხლის ხამართლის მუხლების განხილვა:

უკანასკნელ დროში მოხდა იმდენი საუკეთესო ცვლილებაები ხალხის ცხოვრებაში, რომ მაგალითი არ არის ამ გვარი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისა ასე მოკლე დროში. გლეხების განთავისუფლება სასოფლო მართველობა, სამსაჯულო ცვლილებაები. გლეხების განთავისუფლება არის იმისთანა სიკეთე გლეხთათვის, როგორც პირუტყობიდან გამოსელა. ამ ცვლილებებით გლეხები გახდნენ მესაკუთრეებათ, მათ მიეცათ ყოველი ის უფლებანი, რაც სხვა ადამიანებს ჰქონდათ, შემდეგი დამოკიდებულია მათზე; თუ გლეხები მიხედებიან: რა არის მათთვის საუმჯობესო, და იმ გზაზე წაელენ, მაშინ, რასაკვირველია, კანონის დაწესებელის აზრი აღსრულდება: ისინი აქლენ იმ ხარისხზე, რომელიც დანიშნულია ღვთისაგან კაცთათვის. მეორე სჯულის დებულება—ხალხის თვით მმართველობა არის ფრიად სასიხარულო ახალი წესი. გლეხებს მიეცათ ნება, რომ მათ მათი საქმეები განარჩიონ, იმათვე ამორჩეულ პირებმა მათ სამართალი მისცენ. მართლათაც, ვის შეუძლიან რომ ჩემი საქმე, გარემოება და ვითარება უკეთ იცოდეს, ვინემ ჩემმა მეზობლებმა; ვის შეუძლიან ჩემს მეზობლებზე უკეთესად განსაჯოს ჩემი საქმე? გარდა ამისა ხალხს აქვსთ ნება, რომ მათ თვისი კეთილდღეობისათვის იზრუნეონ.

გარდა ამისა მართებლობამ მოგვცა იმისთანა სამსაჯულოები, რომელნიც მრთელ ქვეყანაზე ნაცნობია როგორც საუმჯობესო. მართლათაც, რა სჯობს იმას რომ ეხლანდელი მსაჯული არჩევს შენს საქმეს საქვეყნოთ, ყველანი უყურებთ, თუ ურიგოთ რამე მოხდა, მაშინვე ქვეყანა შეიტყობს; თითონ საქმის ქეშ მყოფმაც დაწერილებით იცის, თუ როგორ გამოიკვლიეს მისი საქმე; ყველას აქვს სრული ნება, რომ საქვეყნოთ დაამტკიცოს თავისი სიმართლე, თუ რომ მაძიებელი თავის სიმართლისა არ არის კმაყოფილი განჩინებაზე ერთს სამსაჯულოში, მას აქვს ნება, რომ უმაღლეს ადგილებში გადიტანოს თვისი საქმე და იქ დაამტკიცოს თავისი სიმართლე. ეს წესი არა ჰგავს უწინდელს წესდებულებას, როდესაც საქმე გადასწყტებოდა ისე, რომ არც მომჩივანმა და არც მოპასუხემ არ იცოდნენ როგორ განირჩია საქმე და ან როგორ დასრულდა.

მართებლობამ დაინახა საჭიროთ, რომ მსაჯულებათ უნდა იყვნენ განათლებულნი პირნი. თუ რომ ნამდვილი განათლებული კაცია, ის არას დროს თავის ნებით არ გაა-ბრუდებს საქმეს, მას ზედ ვერ იმოქმედებს ვერც მოყიდვა, ვერც შეგონება და ვერც სხვა რამ განმამაელობა. ის განარჩევს საქმეს თავის სინიდისის და კანონის დაგვარ.—მაგრამ ზშირათ გვესმის ხალხში უკმაყოფილება რომ ამა და ამ სუდიამ უკანონოთ გადასწყვიტა საქმეო. ამაში მსაჯული კი არ არის დანაშაული, ჩვენ თითონ ვართ; მსაჯულს ისა აქვს საფუძველათა, რა საფუძველსაც ჩვენ მივსცემთ. ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს, რომ სიმართლეს ჰქონდეს გამარჯვება. როდესაც ჩემი მეზობელი, ანუ მოყვარე, დაობს და მე მოწმათ მიწოდს, მე უნდა მქონდეს სახეში მარტო სიმართლე, არ უნდა მივაქციო ყურადღება არც მოყვარობას, არც მეზობლობას. მაშინ მსაჯულის გადაწყვეტილებაც სამართლიანი იქნება და ჭეშმარიტებაც გამარჯვებული. მე მინდა ვსთქვა, რომ ახლანდელი კანონი და წესები ძალიან სარგოა და სასარგებლო ხალხისათვის; მაგრამ თუ რომ საზოგადოებისაგან შემწეობა არ იქნება, მაშინ ეს კანონი უქმათ დარჩება.

უპირველესი ჩემი აზრი ამ ლაპარაკისა არის, რომ გავაგებინო იმ მკითხველებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც თითონ კანონების კითხვა არ შეუძლიათ, თუ რაში მდგომარეობს ახლანდელი სისხლის სამართალი, სასჯელში მიეცემა კაცი დანაშაულობისათვის, ხანდის-ხან კაცს ჰგონია, რომ უბრალო დანაშაულობა არისო, მაგრამ რა დიდი სასჯელი მოსდევს მას? მე დარწმუნებული ვარ ზევრმა გლეხმა-კაცმა არ იცის ეს სასჯელები და იმიტომ მოახდენს შეცთომილებას, ბოლოს კი შეიტყობს, მაგრამ რაღადროსია. როდესაც უცოდინარი კაცი შედის შეცთომაში, ის ფიქრობს, ან დავმალავ როგორმეო, ან არა და უბრალო სასჯელი მომადგებაო, რა უყოთო. მაგალითათ განიზრახა ვინმე სახლის გატეხა და ქურდობა. გატეხა სახლი, შევიდა შიგ და მოიპარა ორი კაპეიკი, ამას მისდევს სასჯელი: ღირსების და ყოველი უფლების ჩამოხთა და სიბირში დაკარგვა. წარმოვიდგინოთ რა სასჯელი მიადგა ორი კაპეიკის ქურდს! ზოგს იმედი აქვს. რომ როგორმე დავმალავო. ძალიან ძნელია. გამომეძიებლები არიან განათლებულ ხალხთაგანი, ისე ჩაუდგებიან კვალში, რომ ძნელათ რომ მათ რამე საქმე დაემალოთ. გამომეძიებლები არიან მძებნელნი და გლეხი-კაცი დამფარველი. აბა, გლეხს კაცს როგორ შეუძლიან, რომ მას აჯობოს ჭკუით, ან გამოცდილებით. კანონის წინააღმდეგი საქმე ყოველთვის აიხსნება და იმის პატივება არავის შეუძლია.

მე ახლა გადავალ იმაზედ: რა გვარი შეცთომილებაები იქნება და რა სასჯელი მოსდევს მათ.

სუბუქ დამნაშაობას შინჯავს და უწესებს სასჯელს მომრიბემელი მოსამართლე (მიროვოი სუდია), ხოლო უმძიმეს საქმეს შინჯავს ოლქის სასამართლო (ოკრუჟნი სუდი). მანამდის საქმე გასამსჯელოთ შევიდოდეს ოლქის სასამართლოში, საქმე უნდა იძიონ გამომეძიებლებმა, რომელნიც ყოველ უეზდებში არიან; როდესაც ესენი საქმეს შეავსებენ, გაგზავნიან პროკურორთან; პროკურორი განიხილავს; თუ ჰპოვა საფუძრელი გამტყუნებისა, მაშინ შეიტანს ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნი სუდში), იქ განიხილება და განჩინებაც შედგება.

ვ. გამრეკელოვი

სამართალი

ოლქის (ოკრუჟნის) სასამართლოები.

ოლქის სასამართლოში ირჩევა ყველა საქმეები, როგორც სამოქალაქო, ისე სასისხლო, რომლების გადაწყვეტის ნება არა აქვს მომრიგებელ მოსამართლეს, ყველა საქმეები მამულების და ფულის შესზახებ, აგრეთვე სისხლის და სხვა წვრილ-წვრილი შეცთომილების შესახებ, გაირჩევა იმ ოლქის სასამართლოში, სადაც ცხოვრობს მოპასუხე, ან სადაც შესრულდა ბოროტ-მოქმედება. (*Уст. гр. суд. ст. 202—213. Уст. уг. суд. ст. 200—207. 208*).

ოლქის სასამართლო შინჯავს საქმეებს აი როგორ: მისცემენ, როგორც სხვა სასამართლოებშიაც, საჩივარს რაზემე. ამ საჩივარს წაიკითხავენ. ადგება მერე, ესე იგი შემდეგ წაკითხვისა, პროკურორი და თავის აზრს წარმოსთქვამს თუ გასამტყუნარია გაამტყუნებს, და თუ გასამართლებელია—გაამართლებს. (პროკურორი არის ოლქის სასამართლოს ჩინოვნიკი. ეს ყურს უგდებს რჯულების ასრულებას). საქმე ყოველთვის გარდა ზოგიერთა შემთხვევებისა, რომლებზედაც ჩვენ თავის ალაგას ვსთქვით ირჩევა სახალხოდ. თხოვნაში უნდა იყოს მოხსენებული: 1) სასამართლო, რომელსაც თხოვნას აძლევენ, 2) სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადგილი სადაც ცხოვრებენ მოდავე და აგრეთვე მეპასუხე. 3) უნდა იყოს გამოცხადებული აგრეთვე: დამტკიცებაები და კანონები, რომელზედაც თხოვნა არის დაფუძნებული და ბოლოს რას თხოულობს მოჩივარი. თხოვნა უნდა დაიწეროს გერბოვის ქაღალდზე, რომელიც ორი აბაზი ღირს. მოჩივარს ნება აქვს თავის მაგივრათ გაგზავნოს ვექილი, რომელსაც მისცემს ქაღალდს, რომ ეს თავის საქმეს იმას აბარებს. ეს ქაღალდი უნდა გერბოვისა და ღირს ორი მანეთი. (*Ус Гр. Суд. ст. 257* და *259—260. У. ст. уг. суд. сш. 553. 620*).

ნაფიცნი მოსამართლენი.

ოლქის სასამართლო უფრო იმითი სჯობია წინანდელ სასამართლოებსა, რომ აქ საქმეს არჩევენ თითონ მოსამართლეები კი არა, როგორც უწინ იყო ხოლმე, არამედ თვით ხალხი, ესე იგი ნაფიცნი მოსამართლენი (*присяжные засѣдатели*); ამ დაფიცებულ მოსამართლეებს თითონ ხალხი ირჩევს, საზოგადოებიდგან და სოფლის ხალხიდგან უნდა. უწინდელ სასამართლოებში, მოსამართლეები ვერა შინჯავდნენ კარგათ საქმეს. ვის არ ახსოვს ჩვენში ამ სასამართლოების ცუდათ საქმის გადაწყვეტა. ძნელათ წაიყვანდნენ სწორეთ საქმეს. თუ საქმე კარგი ჯიბე სუქანი კაცისა იქნებოდა, მაშინ მოსამართლეებმა თითონ იცოდნენ, როგორცც გაათავებდნენ საქმეს. ეხლა კი ახალ სასამართლოებში სულ სხვას ვხედამთ. არც მოდგომით ირჩევა საქმე, არც რჯულების წინაალმდევ. კანონები უდევთ წინ მოსამართლეებს და თითონაც არის კეთილ-სვინიდისიანი კაცი, როგორც კანონები აჩვენებენ, ისე მოიქცევა. საქმეს მარტო თითონ მოსამართლეები არ არჩევენ, როგორც უწინ იყო. უწინ მარტო მოსამართლეები დასდგებოდნენ და როგორც უნდოდათ, ისე წაიყვანდნენ ხოლმე საქმეს. ეხლა კი საქმის გარჩევის დროს ხალხიც იქ არის. ყველა ხედავს, როგორ ირჩევა საქმე დაფიცებული თანა-მოსამართლებისაგან. ესენი არიან ხალხის სვინდისის და სიმართლის წარმომადგენელები,—ამათი ვალი ძალიან დიდია. ამათ ხალხისაგან ჩაბარებული თანამდებობა უნდა სვინდისიანათ ალასრულონ, როგორც თხოულობს სიმართლე, კანონები და ქრისტიანობრივი კაცთ-მოყვარება.

ნაფიც მოსამართლეებს თითონ ხალხი ირჩევს ყველა ხალხის წოდებისაგან. ეს მოსამართლეები უნდა იყვნენ სრული წლოვანნი, ოცდა ხუთ წელ და სამოცდა ათ წლისა ამაზე დიდი ხნისას ალარ მიიღე-

ბენ. იმ ნაფიცს მოსამართლეებს, რომელნიც თავის თანამდებობას ასრულებენ ერთი წლის განმავლობაში, ნება აქვთ აღარ დადგნენ მეორეთ მოსამართლეებათ. (*Учр. Суд. Усш. Ст. 81 84. 95 100. 104*). როდესაც ირჩევა საქმე, მაშინ სასამართლოში რიგ--რიგზე გამოცხადდებიან რამდენიმე ნაფიცნი მოსამართლენი და ერთად გაარჩევენ საქმეს. ერთმა რომ ცუდად გაარჩიოს საქმე, მეორე გაუსწორებს, ახლა მესამე დაუმატებს და საქმე კარგა სვინდისიანათ გაირჩევა.

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ო ბ ა ო ლ ქ ი ს (ოკრუჟნის) ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ე ბ შ ი. მინამ საქმის გარჩევას შეუდგებოდეს სასამართლო შეცთომილებებზე, ბოროტ-მოქმედებეებზე და სხვა საქმეებზე, დანიშნავს გამოძიებას. გაგზავნიან გამომძიებელს, გამომძიებელი პოლიციის შემწეობით შეუდგებიან საქმეს. ამათ ზედა-მხედავათაჰყავთ პროკურორები და ან მათი ამხანაგები. თუ პოლიცია და გამომძიებლები სწორეთ არ გამოიძიებენ საქმეს და ამ ცუდ გამოძიებულ საქმეს წარმოუდგენს ოლქის (ოკრუჟნის) სასამართლოს, მაშინ სასამართლოში მისცემენ საჩივრებს ორნაირათ, როგორ ზემოთაც ვილაპარაკეთ — დაწერილს და სიტყვიერს; თუ გამომძიებელს უჩივიან, მაშინ ოლქის სასამართლოში უნდა მისცენ საჩივარი და თუ პოლიციას, მაშინ პროკურორს, ან ამის ამხანაგს. საჩივარი უნდა მისცე თითონ იმას, ვისაც უჩივი და ჩამოართვა ბარათი, რომ მერმე უარი არა სთქვას. ამ საჩივრებს სამი დღის განმავლობაში და აგრეთვე საჩივარს ტყუილუბრალოთ დატუსაღებაზედ ერთ დღე და ღამის განმავლობაში წარუდგენენ ოლქის სასამართლოს. მერე ეს საქმე გაირჩევა (*Ст. 149: 197. 200. 499. 501. 504*).

ბრალდებულებს აქვსთ ნება თავის მაგივრათ აღმოირჩიონ ვექილები (ადვოკატები) ანუ მომაგიერე (დაფიცებული ვექილი) ისეთი, რომელსაც აქვს ნება საქმეების წარმოობისა. (*Уст. Угол. Суд. ст 565*).

იმ ბრალდებულებს, რომელნიც თითონ ვერ ამოირჩევენ ვექილს (ადვოკატს), თითონ სასამართლო დაუნიშნავს.

როდესაც გამოძიებას გაათავებენ, წარუდგენენ სასამართლოს. სასამართლოს წევრები შეიკრიბებიან და წაიკითხავენ გამამტყუნებელ ქაღალდს, მერე წაიკითხავენ იმას, რაც ცნობები შეკრიბეს საქმეზე, მერე გამოჰკითხავენ ბრალდებულებს და მოწმებს. რომ გაათავებენ ქაღალდების კითხვას, მოწმების გამოკითხვას, ადგება პროკურორი და დაიწყებს ლაპარაკს, ამტყუნებს ბოროტ-მოქმედს და ეუბნება ნაფიცს მოსამართლეებს, რომ ამა და ამ კაცმა თავის ბოროტ-მოქმედობით დაარღვია სჯულნი და ამისათვის გთხოვ—ეტყვის მოსამართეებს—რომ ამა და ამ სჯულების ძალით ესა და ეს კაცი დასაჯოთ ღირსეულათ. (პროკურორი არის გამამტყუნებელი პირი, ამან უნდა დაამტკიცოს კანონების ძალით ბრალეულობა და თუ არ შეუძლიან თავს დაანებებს, აღარ ილაპარაკებს). პროკურორი რომ გაათავებს თავის გამამტყუნებელ სიტყვას, მაშინ ადგება ბრალდებულის მცველი—ვექილი და დაიწყებს ლაპარაკს. ეს ცდილობს რომ თავისი ლაპარაკით დაამტკიცოს, რომ ის პირი, რომელსაც ბრალს სდებენ მართალია; უჩვენებს თავის მხრით კანონებზე და სთხოვს მოსამართლებს, რომ ამ კანონების ძალით ის გაამართლონ; თუ კიდევ მოსამართლეები ხედავენ, რომ ბრალდებული გასამართლებელი არ არის, მაშინ მცველი წარუდგენს სხვა და სხვა შემაწყნარებელ მიზეზებს და სთხოვს, რომ შეუმსუბუქონ სასჯელი. მერმე თითონ ბრალდებულს ათქმევინებენ სიტყვას თავის გასამართლებლად. ესენი რომ ლაპარაკობენ, დაფიცებული მოსამართლენი ყურს უგდებენ, თუ როგორ ლაპარაკობენ, რომლის მხარეზე უფრო ბევრი სიმართლე არის: პროკურორისაზე ან მცველისაზე, ამასთანავე მოსამართლეებმა უნდა საწყალ ბრალდებულების მდგომარეობას; მოწყალეობის თვალით უნდა გაშინჯონ იმის წარსული ცხოვრება როგორც უცხოვრნია, ბოროტათ თუ კეთილათ, შენიშნული ხომ არაფერში არა ყოფილა, უნდა კარგათ და გვარიანათ გაშინჯონ ის მიზეზები, რომლებმაც დაჰბადეს ბოროტ-მოქმედება. იმათ არ უნდა დაივიწყონ, უნდა ყოველთვის სახეში ჰქონდეთ, რომ ათას წილათ კარგი იქნება გამართლე ბაბრალდებულებისა, ვინემ გამტყუნება, დასაჯვა ერთი უბრალდებულოსი.

საქართველოს ამბები

წიგნი «დროების რედაქტორთან

უ. რედაქტორო! ამ წიგნით მე მინდა ერთს ისეთს საგანზე მივაქციო თქვენი პატივცემული გაზეთის მკითხველების ყურადღება, რომელიც, თუმცა ღირსია დიდი ყურადღებისა, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში ჯერ სრულიადაც არ აღძრულა.

გუშინ ნასადილევს ბულვარი გაცოცხლებული იყო წვრილი ხალხით. იმათ რიცხვში მეც ვერიე. მე მივეშურებოდი ერთ უბრალო საქმეზედ. მიუახლოვდი ბალს თუ არა, დავინახე, რომ ერთი სამსახურიდან გამოსული კარგი ახოვანი აფიცერი გამოვიდა ბალიდან. ამ აფიცერს ეკიდა ჩერგეზული ხმალი და ხელში კარგი მოზდილი ჯოხიც ეჭირა. თავზედ ფორმის ქუდი და ტანზედ მუნდირი თავისი ორდენებით ამოწმებდნენ ოდესმე მის კარგს ბიჭობას. სიარულში კაცი შეატყობდა, რომ ის ეხლაც მამაცია. მე მიუახლოვდი მას. ის შეჩერდა და მთა-წმინდის ეკკლესიისკენ დაიწყო ყურება. რომ გენახათ, ასე იტყოდით: ეს კაცი, თუმცა ხელებს არ აქნევს და ტუჩებს არ აცმაცურებს ზოგიერთივით, მაგრამ სჩანს, რომ მთა-წმინდის ეკკლესიას გულით ევედრებაო. მე მას გვერდით ჩავუარე. უეცრათ უკნიდან მომესმა რაღაც ყვირილი: მოვტრიალდი და აი რა ვნახე: ეს აფიცერი ჰყვირის და თავის ჯოხს მწარედ სცემს ერთ უნდერაფიცერს, რომელიც სვეტივით გაჩერებულა მის წინ და ხელი აუშვერია მაღლა. ამ დროს უნდერ-აფიცერს მოხვდა ჯოხი მაღლა აშვერილ ხელზე, რომლის გამოც მან ძირს ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშვა ის; ამაზედ სულ გაცეცხლდა მცემელი, დაუწყო ყვირილი:» პოდ კოზიროკ!» და უფრო მოუმატა საწყალს ჯოხის ცემა. ჩვენ, ვინც ვიყავით იქ, ყველანი პირ დაღებულნი შორეახლოდან უცქერდით ამ სურათს, მაგრამ კი ვერას ვშველოდით სუსტ მართალს, რომელიც, რაკი შეატყო, რომ აფიცერი არ შორდება მას, გაიქცა. აფიცერმა იშიშვლა ხმალი და გამოუდგა უკან ყვირილით: «გაჩერდი, შენ . . . . . თორემ მოგკლამ!» ისიც გაჩერდა და დაუდგა წინ ძველებურად. აფიცერმა ხმალი ისევ ჩაიგო ქარქაშში და ჯოხით დაუწყო ხელ-მეორედ ცემა. ამ ამბავზე ხალხი მოგროვდა. ზოგიერთებმა დაიწყეს ჩუმათ ლაპარაკი: «ეს აფიცერი ჭკუაზე შეშლილიაო.» ერთმა რუსის იუნკერმა წამოიძახა: «ხელი მოკიდეთ, ნუ აცემინებთო.» თითონ კი შიშისაგან უკან-უკან იხეოდა და ხელი ზევით ჰქონდა გაჩერებული. საძაგელი რამ შესახედავი იყო ამ დროს ეს აფიცერი: პირიდან ქაფს ჰყრიდა, როგორც მაჩხუბარი ტახი და თვალებში მგელივით ცეცხლი ენთებოდა. ბოლოს, გული რომ მოიჯერა ცემით, თავი დაანება თავის მსხვერპლს და გაუდგა გზას მთავარ მართებლის სახლებისაკენ. ნაცემი უნდერ-აფიცერი, ზოგიერთების შეგონებით, წავიდა საჩივლელად. აქ ეს გიჟი აფიცერიც მოვარდა და კიდევ შეჰყვირა: » როგორ თუ შენ, ... დამსახურებულ აფიცერს «ჩესტს». (პატივს) არ აძლევო!» იმას გულდაწყვეტილი შეყურებდა ყარაულების უფროსი აფიცერი, რომელმანც გიჟის დასამშვიდებლათ ნაცემი ჩასვა საპყრობილეში.

ამის შემდეგ ხალხი კაი ხანს იდგა აქ და ამ შემთხვევაზე ლაპარაკობდნენ. ბოლოს ყველა თავ-თავის საქმეზე წავიდა.

სალამოს ერთ ოჯახში ვიყავი და სხვათა შორის ამ გიჟ აფიცერზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი. ერთმა აქ მყოფთაგანმა სთქვა ამ აფიცერზედ: საწყალი რა მებრალება, რა კარგი აფიცერი იყო, მაღრამ ჩუკუნების (ანანიზმით) თავი გაიფუჭა — ჭკუაზე შაიშალაო.» მე იმას ბეჯითად ვერ ვიტყვი, თუ რისგან შეიშალა ჭკუაზედ ეს აფიცერი და ან რა ჩემი საქმეა? მე მაკვირვებს ის, რომ მაგ ფლანის კაცებს აძლევენ ხმლის ტარების ნებას ხმალი საზოგადოთ ცუდის თვისებისაა, მეტადრე ჩერქეზული, და მერმე ისიც გიჟის ხელში, წარმოიდგინეთ რა ხეირს იზამს?

უ. რედაქტორო! მე დიდათ მაკვირვებს ის გარემოება, რომ არც-ერთ ჩვენ ჟურნალში და ეგრეთვე არც გაზეთში, (თუმც ეს გაზეთის საქმეც არ არის), არასოდეს არ მინახავს, რომ ვისმეს ეთქვას, გაკვრით მაინც არის, ერთი-ორი სიტყვა ჩუკუნებაზედ (ანანიზმზე.) ნუთუ საჭირო არ იყოს ამ საგანზედ ლაპარაკი? ნუთუ ამაზედ ლაპარაკი არ მოუტანს სარგებლობას ჩვენ ახალგაზდობას? მართალია, ჟურნალისტიკაში ამ ნაირ საგანზე ლაპარაკი მოუხერხებელი სჩანს, მაგრამ სახეში ის უნდა ვიქონიოთ, თუ რა ვნება მოაქვს ჩუკუნებას კაცისთვის, და მაშინ არა მგონია, რომ ამაზედ ლაპარაკი იყოს ან წინაალმდეგი ან მოუხერხებელი განსაკუთრებით «სასოფლო გაზეთში.» თუ ვინმე იტყვის, რომ ეს საძაგელი და მეტათ მავნებელი ჩვეულება სოფლებში არ იციანო, ძლიერ ტყუვილი იქნება. ეს სენი ჩვენში ყოველგან გავრცელებულია; მაგრამ ეს ისეთი რამ დაფარული მოქმედებაა, რომ ძნელია მისი გამოაშკარება. სასწავლებლებში ხომ რაღა თქმა უნდა! ერთმა სემინარიელმა მელაპარაკა, რომ მონასტირში, სადაც თითონ გაუწევია მოძღვრება, თითქმის ყველა დიაკვნები ამ ცოდვით იტანჯებოდნენო. ერთი სიტყვით, ას კაცში ათსაც ვერ იპოვით ჩვენში, რომ ამ სენში ფეხი არ ჩაედგას, და თუ ვისმეს თავი დაუნებებია, ადრე თუ გვიან, ეს მომხდარა ან წიგნის წაკითხვით და ან ვისმესგან დარიგებით. სოფლებში ხომ წიგნიც ძვირია და ხეირიანი დამრიგებელიც. ზოგიერთი სულიერი მამები, მართალია, აძლევენ დარიგებას, მაგრამ ვაი იმისთანა დარიგებას! ეუბნებიან მხოლოდ, ჩუკუნება ცოდვა არისო. მართალიც რომ ვსთქვათ, ძვირია სოფლებში ისრეთი სულიერი მამები, რომ იცოდნენ, თუ რა ვნება მოაქვს ადამიანისთვის ჩუკუნებას. მარტო «ცოდვა არისო» — ამის თქმა ბევრ სარგებლობას ვერ მოიტანს: ყველა, რაზედაც ამბობენ ცოდვა არისო, რომ დაეცვა კაცს, ბევრი ჩვენთაგანი ადრე ჩაბრძანდებოდა საფლავში....

მღვდელი, თუ ერი, ვინც უნდა იყოს, ჩუკუნებაზედ მოლაპარაკე უნდა ხსნიდეს: რა დანიშნულება აქვს ადამიანის თესლს, თუ ვითარნი სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი წარმოსდგებიან უზომოდ თესლის დაკარგვისაგან, როგორ სუსტდება ჩუკუნებისაგან კაცის სხეული და რა საშინელი მოქმედება აქვს იმას ტვინზე და ჭკუაზე; უნდა ხსნიდეს — თუ რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამ დამღუპავი ავათმყოფობის მოსასპობელად და უჩვენოს ის ნამდვილი ნიშნები, რომლითაც შეიძლება ამ სნეულების გამოცნობა. იქნება ამ ნაირის ახ'ანით კაცმა იმოქმედოს ახალგაზდობაზედ და არა ამ სიტყვებით: «ცოდვა არისო.» ვინც რუსული იცის, წაიკითხავს ამ საგანზე სხვა და სხვა თხზულებაებს; მაგრამ ვინც მარტო ქართული იცის, იმან საიდგან გაიგოს, თუ არა «სასოფლო გაზეთიდამ» და ჟურნალებიდამ?

ვისაც კი ლიტერატურა აქვს, ამ საგანზედაც აქვსთ თხზულებაები ან საკუთარი, ან გადმოთარგმნილი, და ჩვენ რა დავაშავეთ?

ჩვენს უმისოთაც სილარიბისა და სხვა ათასი მიზეზებისაგან დასუსტებულსა დარიცხვით შემცირებულს ერს რაღა ეს საშინელი სენი ეჭირება?....

ხ. მიმისტარიშვილი.

თფილისი. მაისის 25.

«დროების» კორრესპონდენციები

იმერეთიდამ. ივნისის-4.

ქართული ანდაზაა «ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.» ეს ანდაზა ყველა უწყების კაცზე შეიძლება ითქვას, მაგრამ უფრო იმერეთის სასულიერო წოდების პირებზე მართლდება. ჩვენი სულიერი მამები წინაპირველათ, მინამ ახლანდელი ყოვლად სამღვდელო ჩამოვიდოდა იმერეთში, ძლიერ დაცემულნი იყვნენ ყოველის მხრით; ახლანდელ ეპისკოპოსის ჩამოსვლისათანავე მათ დაენიშნათ განსაზღვრული შემოსავალი თავის მრევლისაგან. მინამ ეს განსაზღვრული შემოსავალი დაენიშნებოდათ მათ, მართალია ცხოვრობდნენ ერთ რიგათ, მაგრამ ძლიერ ბლომათ ღებულობდნენ ფულებს მრევლისაგან, და ამის გამო ზოგიერთი მრევლნი ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ. ამგვარი ჩვეულება ისეთ ნაირათ დანერგულია ჩვენი მამების გულში, რომ არას გზით არ შეუძლიათ წინაალუდგენ მას და იმდენი აიღონ თავიანთი მღვდელ-მოქმედოპის შესრულებისათვის, რამდენიც შეშვენის მათ შრომას. განსაზღვრული ხარჯის მიცემამ სრულებით არ შეამსუბუქა გლეხი-კაცი მღვდლების გარდასახადში. ესენი იმდენს ახდევინებენ მათ ფულებს, რამდენსაც წინეთ. ჯვარის დაწერისათვის და

მიცვალებულის განსვენებისათვის წინეთ ორ-სამ თუმანს და ხანდისხან მეტსაც ღებულობდნენ და ახლაც ამდენს ღებულობენ.

მომატებულათ ფულების აღებას კიდევ თავი დავანებოთ, საქმე იმაშია—როგორ ღებულობენ?—მიდიან თუ არა ეკკლესიაზე მეფე და დედოფალი, ერთ საათს მაინც დიაკვანს უნდა ეხვეწონ მათი ჭირისუფალნი და მუხლი უყარონ, რომ ეკკლესიის კარები გაუღოს. დიაკვანი გაიდგამს ფეხს და მინემ ორ ან სამ მანეთს არ შეაგლეჯს მათ, არც კი შეახედვინებს ეკკლესიაში. ეს კიდევ არაფერი, როგორც იყო მეფე და დედოფალი შეუშვეს ეკკლესიაში; აქ მღვდელი გაიდგამს ფეხს და შეუთვლის მათ: «თუ მომცემთ ამდენს და ამდენს, დაგწერთ ჯვარს, თუ არა და, არ შემიძლიაო! რამდენიმე ხნის ვაჭრობისა და ხანდისხან ლანძღვისაც შემდეგ მორიგდებიან და მღვდელი შეუდგება თავის საქმეს.

გაათავებს თუ არა ჯვარის წერას, მღვდელი ამბორების ნებას აძლევს ეკკლესიაში მეფესა და დედოფალს. ამ გვარი საქმის ბადენა სამღრთო-მსახურების აღსრულების დროს, მე მგონი, დიდი უწესოება უნდა იყვეს. არ დავიჯერებ, რომ არ იცოდნენ სულიერმა მამებმა, რომ ეკკლესიაში ვაჭრობის და ამბორების გამართვა არ არის რიგი. ქორწინებისათვის ბევრი ფულის აღებას და ამ ვაჭრობას ეკკლესიაში ძლიერ ცუდი გავლენა აქვს ხალხზე. ზოგიერთებს ამათგანს ბევრ ცუდი აზრები აქვსთ შედგენილნი ჩვენებრ მღვდლებზე და კიდეც ეჯავრებათ მათი შეხედვა. ერთი ამ აზრთაგანი ის არის, ვითომც მღვდლები მათდა შესაწუხებლათ აჩენბოდნენ ქვეყანაზე. «რამდენიც უნდა მიეთ, მღვდლები მაინც თვალებში შემოგაჭერიანო», ხშირათ ამბობენ გლეხნი ერთმანეთში. რომ ვაჭრობა არ არის რიგი ეკკლესში და წინააღმდეგია სჯულისა, ამას ჩვენი მამები თვით ქრისტეს სიტყვებშიაც უნდა ჰპულობდნენ. სულიერ მამებს უნდა ახსოვდეთ ქრისტეს სიტყვები, რომელიც იმან უთხრა იერუსალიმის ეკკლესიაში მყოფს ფულის მცვლელებსა (ზარაფებს): **«ნუ აკეთებთ სახლსა მამისა ჩემისას სავაჭრო სახლად.»** და თუ ეს აგრე იყო, მაშასადამე ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მამები ძლიერ სცდებიან ამ საქმეში და ეწინააღმდეგებიან მაცხოვრის სიტყვებს. ან რა ავტორიტეტი გვჭირია ამ შემთხვევაში, ეგრეც რომ დავფიქრდეთ, მივხვდებით, რომ ეკკლესიაში ვაჭრობის გამართვა რიგი არ არის.

მარტო სოფლებში რომ ჩადიოდნენ ამ საქმეს მღვდლები, კიდევ შეიძლებოდა მიგვეწერა ეს მათ გონებით გაუნათლებლობისათვის; მაგრამ რაღა უნდა ვსთქვათ, როდესაც ქალაქშიაც, ქუთაისში, ხანდისხან იმართება ამისთანა ვაჭრობა ეკკლესიაში, ჯვარის დაწერის დროს?—ამას წინეთ ერთს აქაურს ეკკლესიაში ერთს მეწაღეს ჯვარი უნდა დაეწერა. მოვიდა თუ არა ეკკლესიაზე დედოფლით, დიაკვანმა დაუწყო ვაჭრობა და მინემ ორი მანეთი არ გამოართვა, ეკკლესიაში შიგაც არ შეახედვინა. შევიდნენ ეკკლესიაში, აქ მამა მღვდელმა გამართა ვაჭრობა და მინემ ამანაც თუთხმეტი მანეთი არ გამოართვა, ორალიც არ ჩამოიკიდა გულზე და საკურთხევლიდამ არ გამოვიდა, განაზდა.

რისთვის უნდა ღებულობდნენ ამდენს ჩვენი მამები? რა დიდ შრომას ისინი აწევიან ამ დროს? მათი შრომა დიდი-დიდი გაგძელდეს ნახევარი საათი. ყოველი კაცი შრომის შესაფერ ფასს უნდა ღებულობდეს. სოფლებში ზოგიერთი ღარიბი, რომელსაც ძლიერ გულით უნდა შეირთოს ცოლი, ვერ უდგება ამ საქმის აღსრულებას. რისთვის? მისთვის, რომ იცის, იეფათ ვერ გამოვა მღვდელთან. ამისთვის ის, უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ნახევარ წელიწადს მაინც უნდა ემზადოს თავის გულის წადილის აღსრულებას.—მაშ რითი ვიცხოვროთ, აგრე თუ არ მოვიქეცითო, იქნება სთქვან სულიერმა მამებმა? ამაზე აი როგორი პასუხის თქმა შეიძლება: ნუ აწვებიან მთლათ სარჩენათ თავიანთ მრევლს; შეუძლიათ სხვა საშუალებებიც გამონახონ, რომლითაც თავიანთ ცოხვრებასაც გაიუმჯობესებენ და მრევლსაც შეამსუბუქებენ შევიწროებისაგან.

ქუთაისი. ქ—ლი.

1872 წ. ივნისის 4-ს.

მიცვალებულის დასაფლავება იმერეთში *)

იმედი მაქვს, უფ. რედაქტორო, მომიტევებთ, რომ აქამდი ჩემი აღთქმა ვერ აღგისრულეთ. მაგრამ, უეჭველია, მოგაგონდებათ, რომ მწერალი გამეძცა და გაუთავებელი დამიგდო ჩემი მოთხრობა. მინდოდა სხვა ვინმე მწერალი მეშოვნა, მაგრამ ვერსად ვერ ვიშოვნე ისეთი მოცლილი კაცი, რომ შეესრულებინოს ჩემი თხოვნა. ბოლოს ისევ ჩემ პირვანდელ მწერალს მივმართე და ბევრის ხვეწნისა და ერთი კრავის ჩუქების შემდეგ, ეს როგორც არის მისრულებს ჩემს თხოვნას. ამნაირათ ეხლა კი იმედი მაქვს, რომ შევასრულებ ამ ჩემს მოთხრობას. მაგრამ ცოტა ხანს უკან უნდა დავბრუნდე: რამოდენიმე ჩვეულება დამრჩა მოუხსენებელი.

მიცვალების დღიდამ სახლის კაცები, კაცნი და ქალნი, სანამ მკვდარს არ დაასაფლავებდნენ, თუმც ხორციელი იქმნებოდა, არა თუ სჭამდენ ხორცსა, სტუმრისათვისაც საკლავს ვერ დაკვლიდნენ. ყველანი ჩაიცმიდენ შავს და გამოუშვებდენ წვერს ექვს თვემდინ მაინც, ზოგიერთი ერთს წლამდინაც. ჭირისუფლის რაღა უნდა მოგახსენოთ? უნდა ჩაეცვათ ბალნიანი ქალამანი, ძაძა, აგრეთვე ქვეშ-საგებიც შავი ხამების უნდა გაეკეთებინა. და ამ მდგომარეობაში ერთს წელს უნდა ყოფილიყო. ხორცს ზოგიერთი ერთს წლამდიც არ სჭამდა.

წელიწადზედ, რასაკვირველია, კიდევ უნდა გაემართა ტირილი ჭირისუფალს, მაგრამ გარეშე მოყვრებს და არც ნაცნობთ არ მოიწოდებდა, მხოლოთ თავის სახლის კაცებს. ძლივს მაშინ გათავდებოდა ეს უბედური მდგომარეობა ჭირისუფლისა: შემდგომ შეეძ-

*) პირველი სტატია ამ წლის «დროების» მე-16-№-ში იყო დაბეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო. თავისუფლად სიარული და გარეშე წასვლა და წამოსვლაც, შაესაც გაიხდიდა.

მოუპატიჟებელთ მღვდლებზე და გლახაკებზე რაც ხარჯი გადიოდა, ამ ტირილების დროს, არ ესთელი საჭიროდ, ვიანგარიშო. ეს ისეც იგულისხმების.

ახლა კი, მაღლობა ღმერთს, ბევრი ამ ჩვეულებათაგანი მოისპო, რაზედაც არა მცირედი ღვაწლი ეკუთვნის ჩვენს ეპარხიის უფროსს, ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსს გაბრიელს, ყოფილ ჩვენს რაოდენიმე მებატონებთაგანს, განსაკუთრებით გურიაში თ. ა. მაჭუტაძეს და განსვენებულის თავადის მიხაილ ნაკაშიძის ქირისუფალთ, რომელთაც დიდათ და დიდათ დაამცირეს ეს დამაღარიბებელი ჩვეულება თავიანთ მიცვალებულების დასაფლაევების დროს.

თუმცა მე გაეთავე ტირილზე ლაპარაკი და ამაზე რაც ჩვეულება იყო, მაგრამ ორიოდე სიტყვის ნებას კიდევ ვითხოვ.

14 მარტს, ამ წელს, ჩვენს ეკკლესიაზე მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი და მოგეცა ხალხს დარიგება: უსარგებლო და უზომო ხარჯის შემცირებაზე, ტირილის და მკვდრის დამარხვის დროს შეუსაბამო კვილ-ზვილისა და სარწმუნოების წინააღმდეგის იმ შემთხვევაში ყოფა-ქცევისა, რომელიაცა არც არგია მკვდრის სულს და ხალხსაც აღარიბებს. მე, ჩემდა საუბედუროდ, იმ ქადაგების დროს შორს ვიდექი, ადგილი ვერ ვიშოვე, რადგან ბევრი ხალხი იყო. გთავედა ქადაგება თუ არა, ეკითხე ჩემს მოძღვარს მამა დ.....ს საუძველი მოძღვრებისა მის, რომელმანც მომიგო შემდეგი: «აი, შვილო, მე რო არ ძიჯერებთ, ხო გაიგონეთ, რა ბრძანა მღვდელ-მთავარმან. შევიტყე, რომ ადაპი და საკურთხები შეგიმცირებიათ ტირილის დროსაო; აღარც ნიშანს აძლევთ მღვდლებს—და უამისოთ მკვდრის ცხონება არ შეიძლებაო.» ეს ის მოძღვარი გახლავსთ, რომელმანც ამას წინეთ თავის მოწაფეს ადაპის დროს არჩიეი დაუწუნა და იმ საწყალმა გლეხ-კაცმა სამი გოდრით საცხე იმისგან დაწუნებული არჩიეი გამოიტანა ჩვენს ეკკლესიაზე, კვირა დღე იყო, აჩვენა ხალხს და იჩივლა იმასთან, რომ «აი ეს არჩიეი მივართვი ჩემს მოძღვარს და არ მიიღოეო.»—ხალხმა ამოაწყო გოდრებიდან ყველაფერი, დასხდა, ჭამა, სვა და მიცვალებულს შენდობა მისცეს; ხოლო მამას დ..ს ბევრი და ბევრი უკადრისი სიტყვა უძღვნეს...

განა ჩვენ ისრე უგუნური ვართ, რომ კარგი და რიგიანი სიტყვა არ გავიგონოთ და გულში არ დავიმარხოთ? მაგრამ ვინ გადმოგვცემს, გზის მუშაობისა და იმის ქირის არ იყოს?!....

ერთი კუდაშული კაღლებული გლეხი.

ს. კუდაში, იანიხს.

სოფ. ი ყ ა ლ თ ო (კახეთი), მაისის 30-ს.

სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჩვენს საქართველოში არამც თუ ისპობა კაცის კვლა, არამედ უფრო მატულობს. ორი კვირა არის, რაც ჩემს სახლში მოვბრუნდი და ამ ორი კვირის განმავლობაში სულ ეს ხმა მესმის: აქა და აქ ეს მოუკლავთ, იქ ის და სხ. ეხლა ამასთან ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კაცების მაგიერათ დედაკაცებს ხოცენ; მაგ. ორი დედაკაცი მოუკლავთ მდინარე ალაზანს გალმა, ს. ყვარელში. როგორ ყოფილა ეს საქმე, დაწერილებით არ ვიცი, რადგანაც მე თვითონ არ მინახავს და სხვის ნაამბობს ვამბობ. ამბობენ, რომ ერთს ამ დედაკაცთაგანს ხშირი ორსულობა სცოდნია და, ამა მიზეზისა გამო. მეორე დედაკაცისათვის მუცლის მოსაწყვეტი წამალი უთხოვია; ამ დედაკაცსაც საჩქაროთ გაუკეთებია და დაულევინებია წამლის დალევა და დედაკაცის სიკვდილი ერთი ყოფილა. მკვდარი დედაკაცის ქმარს პოლიცია მოუყვანია და უჩვენებია იმ დედაკაცზედ, რომელმაც წამალი დაალევინა. პოლიციის ჩინოვნიკს ამ ექიმი დედაკაცის დაჭერა მოუნდომებია, მაგრამ იმის ქმარს არ უნებებია; შემდეგ ძალის დატანებისა, დედაკაცის ქმარს უთხოვნია ორიოდე სიტყვის თქმის ნება ცოლთანა. ნების დართვის უმალ მისულა ცოლთან, სიტყვის მაგიერათ, აუღია ხანჯალი, ჩაუკრავს დედაკაცისათვის მუცელში და იქვე მკვდარი წაუქცევია. ამის შემდეგ ეს მკვლელი კაცი ამდგარა და ნებაყოფლობით გაჰყოლია პოლიციას.

კიდევ სამწუხარო ამბავი მოხდა თელავის უეზდში, სს. იყალთოსდა არტოზნის მიჯნაზედ, საზოგადო გზის ცოტა მოშორებით, წარაფის პირში. მაისის 25-ს, ე. ი. ამაღლების ღამეს, წირვის შემდეგ სოფლის მოსამართლეთ შეიტყეს, რომ ზემოთ ნაჩვენებ ადგილზედ გდია ერთი ხანჯლით აკუწული დედაკაცი. შეტყობის უმალვე მოსამართლენი წავიდნენ და მართლა ნახეს მოკვლული დედაკაცი. ამათ მაშინვე ადგილობრივ მთავრობას შეატყობინეს, რომელსაც მეორე დღეს გამომძიებლები გამოეგზავნა. როდესაც ეს გამომძიებლები მოვიდნენ, მე იქ ვიყავ. ერთმა პოლიციის ჩინოვნიკმა მიცვალებული შეამოწმა და შემდეგ დოქტორმა, რომელთაც ნახეს დედაკაცი ძუძუებს ზემოთ მთლათ აკუწული, ე. ი. ყელი გამოჭრილი, ორივე მხარეს ყბები მიჭრილი, ქოროი გაჭრილი, ორივე მხრები გადაჭრილი, მარჯვენა ხელის სირბილე ჩათლილი, ცერი მოშორებული და თითები შესხეპილი. რაოდენისამე გამოკითხვის შემდეგ ეს დედაკაცი ადმოჩნდა თ. სოსიკო ერისთავის ცოლი, კნ. დარია. პოლიციის ჩინოვნიკმა, შემოწმების შემდეგ, საჭირო ნივთები გამოძიებისათვის თან წაიღო და პატრონს ნება მისცა მიცვალებულის დასაფლაევებისა, რომელიც მეორე დღეს, 27-ს ამავე თვეს, დაასაფლაევეს. გამომძიებელთ ჯერ სწორეთ არ შეუტყვიათ,—ვინ არის ამ უბედური ქალის მკვლელი. უეჭველია, გამოძიება მალე ადმოაჩენს ამ ქალის მკვლელსა და მაშინ უფრო დაწვრილებით მოგწერთ ამ საშინელი შემთხვევის გარემოებასა.

უეჭველია, უ. რედაქტორო, შეტყობილი გექნებათ შესახებ კახეთის მოსავალისა. თუცა აქამომდე. დიდი გვალვისა გამო, მოსავალი ფუჭდებოდა, მაგრამ ეხლა კი აედრებმა ძრიელ სარგებლობა მოუტანეს ჩვენს მამუ-

ლებს. თუმცა ერთი კეირის გაუწყნარებელ-
ბა ქარმა დიდათ შეაფიქრა აქაური მემამუ-
ლენი, მაგრამ ამაც ქარმა მოიტანა თან კარ-
გი და მარგებელი წვიმა, რომელიც დაიწყო
ამაღლების ღამიდგან და ვიდრე დღეანდ-
ლამდე ისევ წვიმს ხან-გამოშვებით.

რაც შეეხება აქაურს ვენახებს, ნაკარი სულ
არ ეტყობა ჯერ-ხნობით და, თუ მერე გა-
მოაჩნდება, იმისი კი არა ვიცი რა. მაგრამ,
საუბედუროდ, ამ ვაზებს გასჩენია სხვა მძლეა-
რი მტერი, სახელდობრ კალია, რომელსაც
ალაზნის გაღმა დიდი ზიანი მოუტანია, ასე
რომ ადგილ-ადგილ ცარიელი და შეუმოსავი
ვაზები დგასო, განსაკუთრებით სს. შაქრიან-
ში, ენისელში, საბუეში და სხვა ახლო სოფ-
ლებში. რაც შეეხება სეტყვით გაფუჭებულს
ენახებს, ესენი ძრიელ იშვიათნი არიან. შე-
ახებ მიწის მოსავლისა ჩვენს კახეთში შეიძ-
ლება ესთქვათ, რომ საზოგადოთ ძრიელ
კარგათ არის, ხოლო შიგა და შიგ ცოტა
ბუსტათაა, მაგრამ ესენი არაფერი, თუ უფ-
�о არ შესუსტდა შემდეგში....

ნ. მ—შვილი

დ. ხ ო ნ ი. მაისის 25-ს.

ჩვენი პატარა დაბა დაამშვენა ახალმა სა-
ოგადოებისაგან აშენებულმა სასწავლებელ-
ა; ეს ლამაზი ქვის შენობა დგას მოედნის
ირთა და აქვს მოკაკებული 900 კვადრატული
ფანი ადგილი. ორი წელიწადია მას აქეთ,
რც ხონში ეს ორკლასიანი სასწავლებელი და-
�о. 1871 წ. სექტემბრამდის შკოლა იყო
აქირაებულ სახლში; სექტემბერში გარდიტანეს
ახლ შენობაში და ამ ცხრა თვის განმავლო-
ბაში ისე მორთეს, რომ რაც კი საჭიროა
კოლისათვის, თითქმის ყველაფერი იპოვება.
ბგელივ შამოღობილ ეზოში დარგეს დად-
ონი ხეები, შიგ გააკეთეს ბაღჩა, სადაც
ადილს უკან მოდიან მოსწავლეები და აქ
ათ ასწავლიან მიწის შემუშაებასა და ბაღის
�о. თითოეულს მათგანს ცალ-ცალკე
ქსთ მიჩენილი, კვალებათ დაყოფილი,
ფილები და შიგ უთესიათ სხვა და სხვა
მცენარეები. ერთის სიტყვით, გარეგანი შეხე-
დულობა ამ სასწავლებლისა სწორეთ მოსა-
წონია. შინაგანს სწავლაზედ მე ვერას ვიტყვი,
რადგანაც არა ვარ დაახლოებული რუსულ
ცოდნასთან; მაგრამ, როგორც მესმის,
აქ სწავლებაც კარგი უნდა იყოს (*). საზო-
გადოება სულითა და გულით მონდომებული
არის, რომ კარგათ წაიყვანოს ამ შკოლის საქ-
მე, და არც ღონის ძიებას აკლებს იმას.

ამ დღეებშიაქ მოვიდა სამზღვარს გარედამ
ერთი კაცი, რომელმაც გამართა აბრეშუმის
ამოსაღები მაშინა. ეს მაშინა უბრალოდ გა-
კეთებულია, ხისაგან. მაშინის გამკეთებელი
აქ ჰყიდულობს პარკს ერთ ბათმნიან სარწყაულ
40 კაპეიკათ. როგორც გავიგე, ერთი
ქსანი (**) აბრეშუმის ძაფი რომ გაკეთოს, უნდ-
ება 3 ბათმანი პარკი. ამის ფასი შეადგენს
1 მანეთსა და 20 კაპეიკს. სხვა ხარჯი კიდეე
მოუნდება 80 კაპ. ასე რომ სულ 2 მან.
დაუჯდება. აბრეშუმის ძაფს მაშინა ლამაზს
და წმინდას აკეთებს. ეს ძაფი ღირს 5 მანეთათ
ქსანი; რომ გაყიდოს, აქვე გაიყიდება ამ ფა-
სათ. ჩვენებური აბრეშუმის ძაფი ამდენი
წონა 1 მ. 40 კაპ. მეტათ არ იყიდება.

ეხლა მიბრძანეთ, რისთვის სჭირს ეგ უსა-
მართლობა ჩვენს აბრეშუმის ჭიის მომგელელებ-
სა, რომ მათის ნაშრომით სხვა სარგებლობს
და იმათ კი არაფერი მოგება არ ურჩებათ?
მგონი, ყველასთვის ცხადია, რომ ამის მიზეზი
ჩვენი უსწავლელობა და მოუხერხებლობა
არის. ჩვენ რომ ცოტაოდენი სწავლა და
მოხერხება გვქონდეს, მაშინ ის სიმდიდრე,
რომელიც უცხო ქვეყნელებს გააქეთ ჩვენ-
გან, ჩვენვე დაგვრჩებოდა. ახლა ჩვენ იმას
უნდა ეცდილობდეთ, რომ ჩვენი მომავალი
თაობა მაინც ემზგავსოს იმ კაცებს, რომ-

(*) 30 მარტს ხონის სასწავლებელი დასდგა
ეოვლად სამეფოდ ინსპექტორ ეპისკოპოსმა,
აბრეულმა 16 მაისს ე. ლეკუშოვმა, რომელთაც
მოიწონეს და კარგად სწავლებისთვის, ამთგან
გამადლობა მიიღო შკოლის ზედამხედველმა.

(**) ქსანი არის 3/4 გირვანქა.

ლების სწავლასა და განათლებას ეხლა ჩვენ
შეენატრით....

მარმანდელს მოსავალს ძალიან ეემადრიე-
ლებით, ასე რომ ამ ათი წლის განმავლო-
ბაში არ ყოფილა ასე იეფობა ჩვენში, რო-
გორც წელს; სხვამის ამ დროს სიმინდი იყი-
დებოდა ფუთი 80 კაპეიკად, ეხლა კი აქ ბა-
ზარში იყიდება ფუთი 30 კაპეიკად. ამ იაფობის
მიზეზი ცოტათი ისიც არის, რომ ეხლა სამ-
ზღვარს გარეთ არ მიაქვთ იმდენი სიმინდი,
როგორც წასრულს წლებში მიჰქონდათ.

აგერ ორი თვე გადის მას აქეთ, რაც ჩვენ-
ში წვიმა არ მოსულა და ნამეტანის სიცხეე-
ბით ძალიან შეწუხებული ვართ; სახნავ-სა-
თესი მიწები ბევრი რჩება შეუმუშაებელი,
და, თუ კიდევ რამოდენიმე ხანი ამისთანა
გვალვა დადგა, მაშინ, თქვენი მტერი იქნა
იმ გუნებაზედ, როგორც ჩვენ ვიქნებით!
სიმინდი და ღომი არ მოგვეცა, რომელიც
ჩვენთვის უპირველეს საჭმელს შეადგენს....

ი. შარაშიძე.

ქიზიყი. 13 ივნისს.

«ახ, ღმერთო ჩემო! რა გახდა ეს ჩვენი
ქიზიყი, რომ უბედურება უბედურებაზედ ეწვ-
ვა? განა ისე შესცოდა ღმერთსა? პური ამას
არ მოუვიდა, ასე რომ კოდი ოთხი მანეთი
თქმაა, და შოგნა არა, და ბალახი კიდე სულ
არა აქვს, რომ საქონელი მაინც არის გამ-
ძღარიყო, რომ იმის ბღავილისთვინ მაინც
არ გვეყურებინა?» ასე ლაპარაკობდნენ ჩვენ-
ნი ქიზიყელები ცხრას ამა იენისის თვისას,
და ასე გაცხარებული სჯიან ეხლაცა. და
მართლათაც, ძალიან დაუმსაველდა ქიზიყი. (აქ
მე, როგორც თვით ქიზიყელებიც, მოგახსე-
ნებთ ნახევარ ქიზიყზედ, ესე იგი, კარდენახს
ქვევით, რადგან ბაკურციხიდგან დაწყობილი
მოსავალი კარგი არის ელისცხემდინა და
თელავის უეზდში ხომ რაღა მოგახსენო, ისე
მშვენიერია მოსავალი პურისა). იმას ვამბობდი,
ისე დაუმოსაველდა ქიზიყი, რომ ეხლა სიღ-
ნაღს ფქვილი ფუთი რვა აბაზათ იყიდება—
ისიც შავი ფქვილისა, თეთრი ხომ სად არის?

სოფლით კი, როგორც მოგახსენე, თქმა ოთხი მანეთია, და გამყიდველი კი არსად არის!.. იფიქრეთ, სოფელს მირზაანში ისეთი შემძლებელი გლეხები არიან, რომ დღეში სამჯერ უნდა გამოცვალონ გუთნის ხარი, სულ ათ-ათი უღელი და სხვა და სხვა, და დათესონ თხუთმეტ ურმამდის სულადი, და ეხლა ესენი ურემსაც ვერ შეაგროვებენ პურსა, და ზოგნი კალოსაც ველარ გადათოხენ. საქონელიც ხომ ძრიელ დაუზარალდათ; ქიზიყში უბალახობა იყო და აწცა არის, და მომეტებულმა ხალხმა გარეკა საქონელი, ხარი თუ კამბეჩი, ცხენი თუ ფური, სულ ალაზანს გაღმა მთებზედა, და ზოგმა შემორეკა თელავის უეზდში, სულ საძოვარზედა. ისეთი უბალახობა იყო, რომ საქონელს პირი გადაეფხიკა მიწაზედ ცურებისაგან და სისხლი დასდის, რომ ბალახი ველარ უშოვნია, და თუ იკვებება რამე საქონელი, ესეც უნდა გითხრათ, რომ მუხისა თუ სხვა მცენარის ფოთლითა.

რვას ამ თვისას, საღამოს, მოვიდა ერთი რაღაც საშინელი სეტყვა და სულ ერთიან მიწასთან გაასწორა მთელი თხუთმეტი სოფელი, სოფლები, რომლებიც უფრო მომეტებულ კვებამდა სიღნაღსა და მის მაზრასა, თუ პურითა და თუ ღვინით. მაგალითებრ, ბოდბის ხევი, სადაც მოწკანწკარებს ერთი პატარა წყალი, რომელიც ძლივს აბრუნებს იმისთანა წისქვილს, რომელიც დღე-ღამეში ოთხს კოდს დაფქვავს, ისე ადიდდა, რომ თითქმის სამი მტკვრის ოდენა გახდა; და ეს ადიდება მოხდა რამდენსამე საათშია, არათუ მთელს დღეში ანუ ღამეში! ამ სეტყვამ შეიწირა ხუთმეტი სოფელი, რომლის სახელებსაც ეხლავე ჩამოგითვლით, თქვენს დასარწმუნებლად: პირველათ სიღნაღი, შემდეგ: ქოტორი, ნუკრიანი, ბოდბე, მალარო, ქედელი, ბოდბის-ხევი, ფანიანი, მაჩხაანი, ტიბაანი—ესევე ხირსა, ქუმბათი, ჯუმაანი, ასანური, პატარა საქობო და დიდი საქობო. ეხლა რომ დასდგეთ ჩემთან, ხირსზედა და გახედოთ ვენახებს, თქვენ გეგონებათ, რომ ეს ვენახები არის შემოდგომისა, უფრო ზამთრისაც და არა ზაფხულისა. მაგრამ ზამთრის ვენახებს კიდე რა უჭირს? მაშინ რქა მაინც აქვს ვაზსა, და ეხლა რომ ვაზს რქაც აღარა აქვს, მთლად ისე გაროკილია?

არა თუ მარტო ვენახებითა აზარალა ამ სეტყვამა ეს სოფლები, არამედ ადამიანებითაცა და საქონლითაცა. კაცს, თუ დედაკაცს, თუ ყმაწვილებს მოგახსენებენ ამ სეტყვისაგანა, სწორეთ კი არ ვიცი, თხუთმეტ სულამდინ სულ დამხვრჩვლებსა, თუ მინდვრათა, თუ სოფლათა; ხოლო საქონელს ორმოც სულამდისინა. ამაზედ სწორეთ და ნამდვილათ არ შეგვიძლიან ვთქვათ. ამასთან სეტყვას დაუხოცნია: კურდღელი, ჩიტი, თუ ხოხბები, თუ სხვა და სხვა ფრინველები. ღვარისაგან არიან წაღებულნი: სახლის კუთხეები, ფუტკრის მეჯები, ტყავები ცხვრისა თუ ძროხისა, ლობეები და სხვანი და სხვანი,—ასე რომ მეორე დღეს საღამოს ძლივს დადნა ერთ არშინზედ დადებული სეტყვა. მოხუცნი ამბობენ, რომ ამისთანა საშინელი სეტყვა მათ არ უნახავთ. ერთი სიტყვით, მთელი ზარალი, ამ სეტყვისაგან წარმომდგარი, უნდა იყოს მიახლოებით ოცდა ათი ათას თუმნამდისინა (300,000 მანეთი).

დასეტყვილს სოფლებს განუძრახავთ, მმართებლობას სთხოვონ, რომ ფოშტის ფული, თუ არ აპატიებენ, დააყენონ მაინც არის შემდეგის წლისათვის, რომ წლევანდელი გასასახადი მემრის გადაიხადონ. ეხლა თფილისის ღუბერნატორი კახეთს არის და მამასახლისები ელიან მას სიღნაღს ამ საგანზედ სათხოვნელათა, რამდონიმე. თვითეულის სოფლიდგანა პატივცემულის გლეხებითა.

თუმცა სეტყვამ ასეთი ზარალი მისცა ამ სოფლებსა, მაგრამ ფეტვი და სიმინდი კი გაუხშირა,—და ამასთან მინდვრები და ველებიც შემოსა მწვანე ბალახებით,—ასე რომ აქაურები იმედეულობენ, რომ შემოდგომის მოსავალი კარგი უნდა ჰქონდეთ, და ბალახიც მოუვათ საქონლისთვისა,—ეს იმიტომ რომ რამდონიმე დღე ზედი-ზედ, შემდეგ იმა სეტყვისა, არ გაწყვეტილა წვიმა, და ამ წვიმამ კარგათ გააძღო და გააცხოველა აქაური მინდვრები. ამასთანავე ამბობენ, რომ ამაღლებობის წინა დღესო ყოფილა სეტყვა და წაუხდენია: ახაშენი, ზეგანი და ნახევარი ჩუმლაყი და მუკუზაანი. ზეგანში სულ გაუფუჭებია მიწის მოსავალიცა და ვენახები ხომ სულ გაუხმია. ჩუმლაყში ყანები გადარჩომილა, მაგრამ ვენახები ის დაუსეტყვამს, როგორც ზემო აწერილს ქიზიყის სოფლებშიაცა, ასე რომ ას ვენახში ორ გირვანქა ყურძენს ვერ შეაქუჩებს კაცი ჩუმლაყისა და მეკუზნისა კი, ზოგისა ყან[ები] გაუფუჭებია და ზოგისა ვენახები.

ასე და ამნაირათ არის აოხრებული ზემო აღნიშნული სოფლები ქიზიყისა და ჩვენ ქ[ი]ზიყელს გლეხსაცა დაუკრეფია გულზედ ორ[ი]ვე ხელები და შეჰყურებს ზეცასა და დედამიწასა, რადგან კიდე მათგან მოელის გამო[]ზრდომასა. ამის შემდეგ, რა ჰქნას გლეხმა, თ[უ] ისევ ვალს არ მიმართოს და არ აიღოს ვაჭრის[a]გან ფული, ერთი-ათათაც რომ იყოს, და ი[სე] არ გამოზარდოს თავისი ცოლ-შვილი? ამ[]... ეხლა თქვენ იცით, ფულის გამსესხებლებ[ო] ნამეტანათ სიღნაღისანო, როგორც სვინდ[ი]სიანათ მოიქცევით და კარგათ ასარგებლებ[თ] თქვენს თავნსა? ისარგებლებთ რა მათის გ[ა]ჭირვებითა?! ეხლა თქვენ იცით, როგორ[ც] მალ-მალ არ გაიმეორებთ ამ ჩვენს მამა-პაპუ[რ] სასაცილო ანდაზასა: «ვინც რა უნდა თქვა[ს] ბუქულამ თავისი ფქვას!»

სოფ. ხირსა.

ხირსელი.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 Іюня 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუმელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.